მომსახურების შესყიდვის ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N31

ქ.თბილისი 28 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მარინე სარალიძის და მეორეს მხრივ შპს „ნ და ლ, დირექტორის ზაალ ხარებაშვილის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი: 71300000).

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს და მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების

აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. სამუშაოს მიწოდების ადგილია, შემსყიდველის ადგილსამყოფელი ქ. ჭიათურა სოფ. ეწერი

5.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მარინე სარალიძე.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და დადგენილი სტანდარტების შესაბამისი.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

15.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

„მიმწოდებელი":

შპს „ნ და ლ „

მის: ქ. თბილისი, ქართლელიშვილის ქ. N33

ტ: 599-04-66-61

საიდენტიფიკაციო კოდი - 400211711
მიმღების ბანკი: სს " თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის N: GE95TB7717736020100009

„შემსყიდველი":

ეწრის საჯარო სკოლა

მის: ჭიათურა ეწერი

ტ: 577950706

საიდენტიფიკაციო კოდი - 215606422
მიმღების ბანკი: სს " ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

დირექტორი: ზაალ ხარებაშვილი

დირექტორი: მერიწე სარალიძე

ქ. თბილისი

28 სექტემბერი 2018წ.

მიღება-ჩაბარების აქტი

ერთის მხრივ, შპს „ნ და ლ“, (ს/კ 400211711) მის: ქ. თბილისი ქართლელიშვილის ქ. N31 მისი დირექტორის ზაალ ხარებაშვილის სახით (შემდგომში „შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (ს/კ 215606422), მდებარე ქ. ჭიათურა სოფ. ეწერი , წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მ/შ მარინე სარალიძის სახით, (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „დამკვეთი“), 2018 წლის 28 სექტემბრის N31 გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ვადგენთ წინამდებარე აქტს შემდეგზე:

- ✓ შპს „ნ და ლ“-მ (ს/კ400211711) შეასრულა 2018წ. 28 სექტემბრის N 31 ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვებთან დაკავშირებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.
- ✓ 2018წ. 29 სექტემბრის N31 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
- ✓ მომსახურების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- ✓ დამკვეთი ადასტურებს, რომ შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"დამკვეთი"	"შემსრულებელი"
სსიპ ეწერის საჯარო სკოლა	შპს ნ და ლ
ს/კ 215606422	ს/კ 400211711
მის: ჭიათურა ეწერი	მის: ქართლელიშვილის ქ. N33
დირექტორი: მარინე სარალიძე	დირექტორი: ზაალ ხარებაშვილი
მარინე სარალიძე /	_____ / _____ /

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
CHIATURA MUNICIPALITY VILLAGE ETSERI PUBLIC SCHOOL
215606422